

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს  
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს

04/02- 216

18.05.2016

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### საჯარო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე

გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიებით განსაზღვრული მოსაპოვებელი რესურსების რაოდენობა (წყალსატევებისა და სახეობების მითითებით);
- 2011 წლიდან დღემდე შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიების საფუძველზე მოპოვებული სახეობების რაოდენობა (თითოეული წლის მიხედვით) - ფაქტიური მოპოვება;
- 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიებით განსაზღვრული მოსაპოვებელი რესურსების რაოდენობა (სახეობების მითითებით);
- 2011 წლიდან დღემდე შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიების საფუძველზე მოპოვებული სახეობების რაოდენობა (თითოეული წლის მიხედვით) - ფაქტიური მოპოვება, თანჭერილის ჩათვლით;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიაზე 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) ყველა სახეობის ტყითსარგებლობის ფორმით (ხანგრძლივადიანი ლიცენზიები, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა, სპეციალური ჭრა, ხე-ტყის დამზადების ხელშეკრულებები, სოციალური ჭრები და სხვ.) განსაზღვრული მოსაპოვებელი მერქნის რაოდენობა (ტყის ფონდის ტერიტორიისა და სახეობების მითითებით);
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიაზე 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) ყველა სახეობის ტყითსარგებლობის ფორმით (ხანგრძლივადიანი ლიცენზიები, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა, სპეციალური ჭრა, ხე-ტყის

დამზადების ხელშეკრულებები, სოციალური ჭრები და სხვ.) მოპოვებული მერქნის რაოდენობა (ტყის ფონდის ტერიტორიის, ტყითსარგებლობის ფორმით და მოპოვებული სახეობების მითითებით) - ფაქტიური მოპოვება;

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიაზე 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) ყველა სახეობის ტყითსარგებლობის ფორმით (სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა, სპეციალური ჭრა, ხე-ტყის დამზადების ხელშეკრულებები, სოციალური ჭრები და სხვ.) განსაზღვრული მოსაპოვებელი მერქნის რაოდენობა (დაცული ტერიტორიისა და სახეობების მითითებით);
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიაზე 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) ყველა სახეობის ტყითსარგებლობის ფორმით (სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა, ხე-ტყის დამზადების ხელშეკრულებები, სოციალური ჭრები და სხვ.) მოპოვებული მერქნის რაოდენობა (დაცული ტერიტორიისა და მოპოვებული სახეობების მითითებით) - ფაქტიური მოპოვება;
- დაცული ტერიტორიების გარეთ, 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) უკანონო თევზჭერის, ნადირობის და ხე-ტყის ჭრის შედეგად მოპოვებული რესურსების რაოდენობა (რეგიონებისა და მოპოვებული სახეობების მითითებით);
- 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) დაცულ ტერიტორიებზე უკანონო თევზჭერის, ნადირობის და ხე-ტყის ჭრის შედეგად მოპოვებული რესურსების რაოდენობა (დაცული ტერიტორიისა და მოპოვებული სახეობების მითითებით).
- 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) კანონიერად მოპოვებული გადამფრენი ფრინველების რაოდენობა (ქვეყნის რეგიონებისა და სახეობების მითითებით);
- 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) სამონადირეო მეურნეობებში მოპოვებული რესურსების რაოდენობა (სამონადირეო მეურნეობისა და მოპოვებული სახეობების მითითებით);

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ფოსტით).

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი

ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი